საქართველოს ძღიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№8 (6383) 19 იანვარი შაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმინდა გიორგეს სამრეკლო გვიხმობს

ასეთი განსაცდელი, ასეთი ძნელბედობის ჟამი ახლა რომ საქართველოში, მთელ კავშირში თუ მსოფლიოშია ჩვენს მამებსა და პაპებს, თვით უხუცეს ადამიანებსაც კი არ ახსოვთ. თითქოს ყველაფერი ერთმანეთს გადაეხლართა. ჩვენთან 9 აპრილს დაღვრილი სისხლი ლიტველი ხალხის, საერთოდ, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი რესპუბლიკების გაფრთხილება იყო. ახლა კი პირიქით, იქ დაღვრილი სისხლი ჩვენი გამაფრთხილებელია.

სწორად თქვა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ, ჩვენთვის რეკავენ ზარები. ლიტვაში 15 იანვარი გლოვის დღედ იყო გამოცხადებული, დაკრძალვაა იმ ადამიანებისა, ვინც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მსხვერპლი გახდა, ზარები რეკენ. ეს ზარები დაკრძალულთათვის კი არა, ჩვენთვის. ცოცხლებისათვის რეკენ.

აი უკვე ნათლად გამოჩნდა იმ გარდაქმნის შედეგი, რასაც კრემლი მთელი ხუთი წლის მანძილზე გვთავაზობდა. დემოკრატიასთან თამაში—აბა რა შეიძლება ეწოდოს ყოველივე ამას, აუცილებელია ჩვენი ეროვნული კონსოლიდაცია, ერთ კედლად თუ არ დავდგებით, ერთ სულ და ერთ ხორც არ შევიკვრებით ეს ჩვენი უზნეო საქციელი, ჩვენი პოლიტიკური სიბეცე იქნება. ყველაზე აუცილებელი ეროვნული კონსოლიდაცია, ჩვენი კიდევ უფრო გამოფხიზლება და დღევანდელი დღის სრული ასპექტით შეგრძნებაა.

ჩვენს ძირძველ სამაჩაბლოს მიწაზე სისხლი იღვრება, ცენტრის მხარდაჭერით, მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის 7 იანვრის ბრძანებით გადიდგულებული ოსი ექსტრემისტები არ ინდობენ სიმშვიდის დამცავად იქ ჩასულ საქართველოს მილიციის ნაწილებს, ავიწროებენ ქართულ მოსახლეობას.

სიმართლე ჩვენს მხარეზეა, გვწამს სამართლიანობა გაიმარჯვებს, მაგრამ რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლის ფასად უნდა ნოვიპოვოთ იგი. ამიტომ მეტისმეტი სიფხიზლე და თითოეული ჩვენგანის აქტიური მოქმედება, საქართველოს უზენაესი საბჭოსადმი მხარდაჭერა გვმართებს, რომ თავი დავაღწიოთ ჩვენ წინ აღმართული ურჩხულის კლანჭებს.

ეცმაროს იმ ცრემლს, იმ ტანჯვას, რაც ჩვენმა ხალხმა გადაიტანა და ბოლოსდაბოლოს განახლებული ცხოვრების გზაზე დავმდგარიყოთ.

ს. ჩაკვეტაძე,

რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი.

ეროვნული თავდაცვის ფონდი გულის კარნახით

მძიმე დღეები აქვს ქართველ ხალხს—პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური თვალსაზრისით. მომწიფდა აზრი შეიქმნას ეროვნული თავდაცვის ფონდი. ქართველებმა თავად უნდა უპატრონონ საქართველოს, დაიცვან საკუთარი ერისა და ხალხის ინტერესები. ამიტომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დააკმაყოფილა საზოგადოებრიობის მოთხოვნა და შეიქმნა საქართველოს ეროვნული თავდაცვის ფონდი.

საქართველოს რესპუბლიკურ ბანკს დაეკალა გახსნას შესაბამისი ანგარიშები. შრომითი კოლექტივებისა და ცალკეული მოქალაქეების მიერ ამ ფონდის სახელზე თანხის გადასარიცხად ბანკის ყველა რაიონულ თუ საქალაქო განყოფილებაში გაიხსნა მე-700 ანგარიში.

ბევრმა საწარმომ, ორგანიზაციამ ანგარიშის გახსნისთანავე გამოხატა თავისი ნება ამდიდ ეროვნულ, პატრიოტულ, მოქალაქეობრივ საქმეში. ღვირიშის სასოფლო საბჭომ 150 მანეთი გადარიცხა მე-700 ანგარიშზე, ქვედა ცაგერის სასოფლო საბჭომ—65, ორბელისამ—50 მანეთი. გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქციის კოლექტივმა 250 მანეთი გაიღო მე-700 ანგარიშზე ჩასარიცხად.

ლეჩხუმელი მშრომელები თავიანთ სიტყვას იტყვიან საქართველოს ეროვნული თავდაცვის საქმეში.

კეთილი გულით მიძღვნილი

14 იანვარი, მართლმადიდებლური ეკლესიის მიხედვით ახალი წელი, ცაგერში მიტინგით აღინიშნა. ეს იყო პოლიტიკური მიტინგი, რომელიც მიეძღვნა სამაჩაბლოში დღეს არსებულ სიტუაციას და ლიტვის ტრაგედიას. მაშინ, მიტინგზე გამოითქვა აზრი გაეგზავნათ სურსათ-სანოვაგე სამაჩაბლოში განლაგებული ქართული მილიციისათვის. ამ წინადადებას მიტინგის ბევრმა მონაწილემ სიამოვნებით დაუჭირა მხარი, იქვე გადაწყდა კულტურის სახლში გამოყოფილიყო ერთი ოთახი მოსახლეობის შემოწირულების მისაღებად.

მეორე დღიდანვე გამოეხმაურა რაიონის საზოგადოებრიობა მიტინგის ამ გადაწყვეტილებას, მილიციის რაიონულ განყოფილებაში, კულტურის სახლში ათობით ადამიანი მოვიდა ხელდამშვენებული. თავიანთი ნობათები მოიტანეს საწარმოდაწესებულებებმაც. მოჰქონდათ ყველაფერი რაც საჭირო პირობებში გამოადგებათ მეომრებს. მილიციის თანამშრომელთა ერთი ჯგუფი 16 იანვარს გაეშგზავრა ცხინვალში კოლეგების შესაცვლელად. ხამშაბათს მათ მეორე ჯგუფი შეცვლის. ისინი წაიღებენ ლეჩხუმელთა ამ ძღვენს და გულის სითბოს, რომლითაც ხალხი ლოცავს სამშობლოს დამცველებს.

ქველმოქმედება არ ყვირის. ამიტომ ჩვენც არ ვასახელებთ ამ აქციაში მონაწილე პიროვნებებსა და დაწესებულებებს, ისინი ხომ ბევრნი არიან. მათ ღმერთი მიაგებს სანაცვლოს. მხოლოდ გვინდა დიდი მადლობა ვუთხრათ ყველა მათგანს, კეთილი გულით მიძღვნილი ხომ მცირედიც შეიწირების.

საქართველოა ჩემი სამშობლო

ხდის უკუღმართობამ ებრაელობას თავის სამშობლო დააკარგვინა და თავშესაფარი საქართველოში, ქართულ მიწაზე ვპოვეთ. მაგრამ ამით არავის არაფერი არ წაუგია, 2600 წლის მანძილზე ერთმანეთთან შეთანხმებული, ტკბილად და მეგობრულად ვიცხოვრეთ, მშვენივრად გრძნობდნენ თავს ჩემი მამა-პაპანი, ყოველთვის კმაყოფილებას გამოხატავდნენ ქართველი ერისადმი და უბრალო უთანხმოებაც კი ამ ორ ერს შორის არასოდეს არავის არ ახსოვს.

იყო დრო, როცა ლეჩხუმის ულამაზეს სოფელ ლაილაშში 300-მდე ებრაელის ოჯახი ცხოვრობდა, დროთა განმავლობაში ზოგი საცხოვრებლად რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში გადავიდა, ზოგს კი გულმა მაინც თავის სამშობლოსაკენ გაუწია და როგორც კი წასვლის უფლება მიეცათ ისრაელში გაემგზავრნენ. მაგრამ არ ავიწყდებათ საქართველო, ებრაელთა მასაზრდოებელი მიწა-წყალი. როგორც მშობლიურს ისე მოიხსენიებენ ყველაფერს აქაურს. მე კი საქართველოში დარჩენა ვამჯობინე. შვილმენი ქართული ოჯახი, ბყავს შვილი, რძალი შვილიშვილები.

ოსებიც ასევე ნელ-ნელა ჩამოესახლნენ ჩრდილო კავკასიიდან ქართულ მიწაზე. სამაჩაბლოში შექმნეს სოფლები და დღეს ზედმეტიც მოისურვეს ქართველებს წაართვან თავისი მიწა-წყალი. რაც არასწორია. ნუთუ ოსები ასეთი უნადურები არიან. ვერ გამონახეს ქართველებთან საერთო ენა. განა არ იციან ქართული მიწის მიტაცებას, უმადურობას და შეურაცხყოფას ქართველი არავის აპატიებს. იმედი მაქვს, რომ სამართლიანობა გაიმარჯვებს. ვგმობ ოსი ექსტრემისტების ასეთ აღვირახსნილ მოქმედებას, მთელი ჩემი ოჯახით მხარს ვუჭერ საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებას ან ძირძველ მიწაზე ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ.

ნორა მეგრელიშვილი.

სოფ. ლაილაში.

ქრისტიანული დღესასწაულები

ნათლისღება

„და იყო იმ დღეებში, მოვიდა იესო გალილეის ნაზარეთით და ნათელ იღო იორდანეში იოანესაგან“.

მარკოზი (1, 9)

19 იანვარს (ძველი სტილით 6 იანვარს) აღინიშნება 12 უდიდეს ქრისტიანულ დღესასწაულთაგან ერთ-ერთი—ნათლისღება და განცხადება უფლისა მაცხოვრისა იესო ქრისტესი. ბიბლიური წინასწარმეტყველები წინასწარმეტყველებდნენ უფლის ძის მოვლინებას დედამიწაზე, რომელიც გამოისყიდდა ისრაელის ცოდვებს და საუკუნო ცხოვრებას მიანიჭებდა მორწმუნეთ. საუკუნეების მანძილზე ელოდნენ მორწმუნენი ღვთის განკაცებას. მათ რწმენას აძლიერებდა წინასწარმეტყველთა ღვთიური ნიჭი ადამიანთა განკურნებისა და ათასგვარ სასწაულთა მოხდენისა. და აჰა, აღსრულდა ღვთის ნება—ქალწულმა შვა ძე ღმრთისა, მაგრამ ამ სასწაულს შესახებ ჯერ მხოლოდ ცოტამ თუ იცოდა. ხალხისათვის კი ჯერ დაფარული იყო ეს დიდი საიდუმლო.

იესოს ყრმობა და სიჭაბუკე ადასტურებდა, რომ ის არ იყო უბრალო მოკვდავი. მისი ქადაგებანი, სასწაულთმოქმედისა და კურნების ნიჭი იმედებს აღძრავდა კეთილმორწმუნეთა გულებში, მაგრამ უფლის მიერ ჯერაც არ განცხადებულიყო, რომ იგი იყო ძე ღვთისა. განცხადება მოხდა იესოს წყლით მონათვლის შემდეგ.

როგორც ახალი აღთქმის საღვთო ისტორია მოგვითხრობს, ამ დროს იესო 30 წლისა იყო.

1. ტიბერიუს კესრის მმართველობის მეთხუთმეტე წელს, როცა პონტიუს პილატე იუდეის მთავარი იყო, ჰეროდე გალილეას მეოთხედმთავარი, ფილიპე, მისი ძმა,—იტურეისა და ტრაქონიტის მხარის მეოთხედმთავარი, ხოლო ლისანია—აბილენეს მეოთხედმთავარი.

2. და როცა მღვდელთმთავრები იყვნენ ანა და კაიაფა, გაისმა სიტყვა ღმრთისა იოანეს, ზაქარიას ძის მიმართ, უდაბნოში.

(ლასარული მე-2 გვერდზე).

ვგმობთ ცენტრის აგრესიას!

ერთ მუშტად შევიკრათ

კალანდას თუ სხვა ქრისტიანულ დღესასწაულს ახლა, მადლობა ღმერთს, შეფარვით არ ვდღესასწაულობთ. იმ ღამესაც, ახალი წლის წინაღამეს, მოველოდით უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ზვიად გამსახურდიას ძველი სტილით ახალი წლის მოლოცვას, ფსიქოლოგიური სტრესებიდან დროებით განმუხტვას. ახალი წელი ხომ მაინც ახალი წელია, მაგრამ მოლოცვის მაგიერ მთავრობის სახლის წინ გამართულ მიტინგზე მისი სიტყვა მოვისმინეთ.

სულით ხორცამდე შეგვძრა ყველა ამ გამოსვლამ, არ მახსოვს მსგავსი ასეთი ტონი, აბა, რომელ ნორმალურ ადამიანს არ შეაძრწუნებს ის, რაც სამაჩაბლოში ხდება, რაც ლიტვაში ხდება, სადაც ტანკებით გადაუარეს უიარაღო, უდანაშაულო ქალებს და კაცებს, 7 წლის გოგონას და დახოცეს 9 აპრილის მსგავსად. დღეს არა მარტო ჩვენ, მთელი მსოფლიო ბოლომდე დარწმუნდა, რომ სსრ კავშირისთანა პირსისხლიანი აგრესორი არ იცის მსოფლიო ისტორიამ. დამთავრდა—ნიღაბი აეხადა „დემოკრატიას“, გარდაქმნას, ნობელის პრემიის ლაურეატს, გაშიშვლდა მისი პიროვნება.

ლიტველ ხალხს, თავისუფლებისმოყვარე გმირ ხალხს სჭირდება თანადგომა და ამაში ორი აზრი არ არსებობს. მეგობარმა საუბარში ჭკვიანი კაცის ნათქვამი, ძალზე კარგი ნათქვამი ჩამომაწოდა: კალათა იწვოდა ხელმა სიცილი დაუწყო. რა გაცინებსო, შენიშნა კალათმა, შენამდეც მალე ამოვუწვევო.

დიახ, ლიტვაში დატრიალებული ტრაგედია ხვალის გაკვეთილია. ჩვენთვის. მართალია რუხთაველზე, როგორც ზვიადიმ თქვა, ჯერ არ დაგრუხუნებენ ტანკები, მაგრამ ყურებში უკვე გვიწივის მათი დამთრგუნველი ხმა.

რა გვიშველის, არსებობს გამოსავალი? მე ისევ ოპტიმისტად ვრჩები და ვამბობ—არსებობს. ეს არის ჩვენი სიმტკიცე, ერთიანობა, ერთ მუშტად შეკვრა. დღეს და ყოველთვის გულს მტკენს, რომ ჩვენ ყოველთვის ვიხლიჩებოდით და ვიხლიჩებით პარტიებად, ბლოკებად, ოფიციალურ და არაოფიციალურ საზოგდოებებად. დღეს მაინც მოვეგოთ გონს. აღარაა შავისა და თეთრის გარჩევის დრო, საქმე ეხება საქართველოს ბედს, ჩვენი შვილების მომავალს, მათ სიცოცხლეს.

არა მგონია სახელმწიფოში, სადაც ადამიანები თვალის დაუხამხამებლად გაქლიტეს არა ერთგზის, ზნეობრივ პრინციპებს დავეფუძნოთ, შიმშილობა ან სხვა მსგავსი აქციები ვერას გვიშველის. საჭიროა სულიერი და ფიზიკური სიმტკიცე, ისევ გონიერება და გონიერება, სიმშვიდე, რომ ცენტრის ახალ ანკესს არ წამოვეგოთ.

ცხინვალში ქართული მილიცია მიწის ტომრების ბარიკადებით იცავს თავს, ოსი ექსტრემისტები კი ავტოტრანსპორტიორებით, ისინი კბილებამდე არიან შეიარაღებულნი. ამ დროს ქართულ მილიციას იარაღი სამათხოვრო აქვს. ასეა, მოქმედებს, გვესვრის, სისხლს ღვრის ცენტრი. და ჩვენ მაინც ვცდილობთ უსისხლოდ, უმსხვერპლოდ მოვაგოთ გონს ოსები, რომლებიც შევიფარეთ, დავაპურეთ და ახლა ასე გვიხდიან სანაცვლოს.

ამიტომ ისევ და ისევ ჭკუა, მოთმინება, სიმშვიდე გვმართებს, თორემ ამ ეტაპზე საქართველოთვის არავის სცხელა. მოსკოვში, საზღვარგარეთელ ჟურნალისტს რომ ჰკითხეს, რა აზრისა ხართ საქართველოში დატრიალებულ მოვლენებზეო, საქართველოსთვის ვიღას სცხელა, სპარსეთის ყურეში მესამე მსოფლიო ომი იწყებაო.

ასე რომ, ნურავის და ნურაფრის იმედი გვექნება. მხოლოდ და მხოლოდ დავეყრდნოთ ჩვენს მთლიანობას, სიმტკიცეს, სიმართლეს. მზად უნდა ვიყოთ ყველაფრისათვის.

მ. ძნელაძე.

9 აპრილის სცენარით

ცენტრის მიერ ინსპირირებული სისხლიანი აქცია, რომელიც სამხედროებმა მოაწყვეს ლიტვაში, კიდევ ერთხელ ააშკარავებს მოსკოვის იმპერიულ დონეს, კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ არავის იმედი არ უნდა გვქონდეს. ერთად-ერთი გამოსავალი მხოლოდდამხოლოდ ერთიანობაში,ერთმანეთის თანადგომაშია.

კიდევ ერთხელ გაგვიახლდა 9 აპრილის ტკივილი, იმპერიული ძალები კვლავ გვეძუქრებიან, კვლავ აყღარუნებენ იარაღს ჩვენს წინააღმდეგ. კვლავ განსაცდელი ელის ჩვენს.მრავალტანჯულ, წინაპართა ძვლებით გაპოხიერებულ, ძველთაგან მტრის საჯიჯგნად ქცეულ მიწას.

სულით ხორცამდე შემძვრელი იყო თბილისში, მთავრობის სასახლესთან ლიტვის სოლიდარობის ნიშნად გამართულ მიტინგზე ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოსვლა, ქვა გული უნდა გქონდეს, რომ ქართველი ერის ღალატი იფიქრო ამ ძნელბედობის ჟამს, გვერდით არ დაუდგე. იმ ხალხს, რომლის მიწაზეც გაზრდილხარ. ათასგვარი პრობლემები დაგროვდა ჩვენს ირგვლივ. საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების ადამიანთა თანაგრძნობაა აუცილებელი; ერთიანი ძალით თუ გავუძკლავდებით საერთო მტერს, მით უფრო ჩვენ, ქართველებს კი უფრო მეტი თავგანწირვა, ერთ სულ შეკვრა გვმართებს. ეგრეთწოდებულ სამხრეთ ოსეთში დაძაბულობამ პანიკაში არ უნდა ჩაგვაგდოს, მთავარია შევინარჩუნოთ სიმშვიდე და მტერს გონიერებით ვაჯობოთ. სხვა გამოსაოვალი არა გვაქვს.

უჭირთ სამაჩაბლოს ტერიტორიაზე სიმშვიდის დასაცავად მდგომ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა განყოფილებების მუშაკებს, თითქმის ყოველდღე არასასიამოვნო ამბების მოწმე ვხდებით, ახლახან ოსი ექსტრემისტების თავდასხმამ, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებამ ხელყო შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკთა სიცოცხლე. უიმედობა და ხელის ჩაქნევა არას გვარგებს, საქმე ჩვენი მიწის ხელყოფას ეხება და ჩვენც მათ გვერდით უნდა ვიყოთ, რითაც შეგვიძლია დავეხმაროთ მათ.

სასურსათო პროდუქტების გაგზავნის შესახებ გაისმა მოწოდება 14 იანვარს ცაგერში გამართულ მიტინგზე. მხარს ვუჭერ ამ მოწოდებას და მოვუწოდებ ყველა ლეჩხუმელს უფრო ფხიანად, უფრო აქტიურად ვიმოქმედოთ, უკან დახევა შეუძლებელია. სამაჩაბლოს ტერიტორიაზე განლაგებულ რესპუბლიკის მილიციის ნაწილების სურსათით უზრუნველყოფის, მათი გაძლიერების საქმეში უფრო აქტიური წვლილი უნდა შევიტანოთ ჩვენ, მოსახლეობამ. ყველაფერი გავაკეთოთ, რომ ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს ერთიანი, განუყოფელი, თავისუფალი საქართველო ჩავაბაროთ.

ჟორა ხეცურიანი.

ქ. ცაგერი.

ადრესატია სსრკ პრეზიდენტი

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საამმართველოს კოლექტივი მიტინგზე შეიკრიბა. მათ პროტესტი გამოხატეს სსრ კავშირის პრეზიდენტის მიმართ, მისი 7 იანვრის ბრძანებულების გამო, რომლის შედეგიცაა შიდა ქართლში არსებული დღევანდელი ვითარება.

ცენტრმა უნდა შეიგნოს, რომ ის არის აგრესორი, შუღლს აღვივებს ერებს შორის, სისხლით უნდა შეინარჩუნოს იმპერია.

მშრომელებმა სოლიდარობა გამოუცხადეს გმირ ლიტველ ხალხს, რომლის სწრაფვას თავისუფლებისაკენ წინ ვერაფერი აღუდგება.

მიტინგის მონაწილეებმა თავიანთი გულისტკივილი გამოხატეს გორბაჩოვისადმი გაგზავნილ საპროტესტო დეპეშაში.

ნათლისღება

(დასასრული).

3. და მოიარა იორდანეს მთელი შემოგარენი, და ქადაგებდა ნათლისცემას სინანულისას ცოდვათა მისატევებლად“ (ლუკა, თავი 3).

ვინ იყო იოანე ნათლისმცემელი, ვინაც წყლით მონათლა მორწმუნენი და თვით იესოც კი? მის შესახებ დაწვრილებით მოგვითხრობს ლუკას სახარება:

იუდეაში ჰერიოდეს მეფობის დროს ცხოვობდა მღვდელი ზაქარია. ის და მისი ცოლი ელისაბედი მართალნი იყვნენ, ვინაიდან წმინდად იცავდნენ და ასრულებდნენ ღვთის ყველა მცნებას. სიბერემდე შვილი არ ჰყავდათ, თუმცა ყოველდღე ევედრებოდნენ ღმერთს.

ერთხელ მღვდელთმსახურების დროს ტაძარში ზაქარიას გამოეცხადა უფლის ანგელოზი, რომელმაც შეშინებულ მღვდელს გადასცა ღვთის სიტყვა:

13. „ნუ გეშინია, ზაქარია, ვინაიდან შესმენილ იქნა შენი ვედრება, და შენი ცოლი ელისაბედი გიშობს ძეს, და უწოდებ მას სახელად იოანეს.

14. და იქნება შენი სიხარული და სიხალისე და მრავალნი გაიხარებენ მისი შობით.

15. ვინაიდან დიდი იქნება უფლის წინაშე, ღვინოსა და სიკერას არ დალევს და სულით წმინდით აღივსება დედის საშოშივე.

16. და მრავალ ძეს ისრაელისას მოაქცევს უფლის—მათი ღმერთის მიმართ“ (ლუკა, თავი 1).

ზაქარიამ ვერ ირწმუნა ანგელოზის ნათქვამი უფრო იმის გამო, რომ ისიც და მისი ცოლიც უკვე ხანშიშესულნი იყვნენ. ამიტომ ანგელოზმა დაამუნჯა იგი იმ დღემდე, ვიდრე მისი სიტყვა არ აღსრულდებოდა. იმ დღიდან ელისაბედმა მართლაც იღო მუცლად.

ამ ამბიდან მეექვსე თვეს გაბრიელ მთავარანგელოზმა ახარა ქალწულ მარიამს, რომ იგი შობდა უფლის ძეს და ღმერთის უოვლისშემძლეობის დასტურად ელისაბედის მაგალითი დაუსახელა. ქალწული დაინტერესა ამ ამბავმა და გადაწყვიტა ელისაბედის მონახულება.

40. შევიდა ზაქარიას სახლში და მოიკითხა ელისაბედი.

41. როგორც კი გაიგონა ელისაბედმა მარიამის მოკითხვა, ყრმა შეიძრა მის მუცელში და აღივსო სულით წმიდით ელისაბედი.

42. და შეღაღადა ხმამაღლა და თქვა: კურთხეულ ხარ შენ ასულთა შორის, და კურთხეულია შენი მუცლის ნაყოფი!“ (ლუკა, თავი1)

მარიამმა 3 თვე დაჰყო ელისაბედთან, ბოლოს კი დაბრუნდა სახლში.

ელისაბედმა ანგელოზის სიტყვისამებრ შვა ძე, რომელსაც ზაქარიას სურვილით დაარქვეს იოანე. აქამდე დამუნჯებულმა ზაქარიამ მართლაც გაიღო ხმა და აკურთხებდა უფალს. იუდეის თიანეთს მოედო ეს საოცარი ამბავი და დააფიქრა ხალხი. საკვირველი ყრმის მამა კი წინასწარმეტყველებდა და ამბობდა, რომ ღმერთმა გადმოხედა თავის ხალხს და დაბადა წინასწარმეტყველი, რომელიც განუმზადებდა გზას მომავალ უფალს. „ხოლო ყრმა იზრდებოდა და მტკიცდებოდა სულით, და იყო უდაბნოში. იმ დღემდე, სანამ გამოეცხადა ისრაელს“

(ლუკა, თავი 1).

უდაბნოში მცხოვრებ იოანეს „ემოსა აქლემის ბეწვი და წელს ერტყა ტყავის სარტყელი და საზრდელი მისი იყო კალია და ველური თაფლი“.
(ნათე, 3; 4)

მისმა ქადაგებამ ბევრს აუხილა თვალი და მონათვლის სურვილი აღუძრა. ამიტომ იუდეას მოსახლეობა, იერუსალიმს მცხოვრებნიც კი მიდიოდნენ მასთან მოსანათლად და აღიარებდნენ ცოდვებს. ნათლისმცემელი მოუწოდებდა ყველას სინანულისაკენ:

„ვინაიდან აწ უკვე ცული ხეების ფესვთან დევს, ყოველი ხე, რომელი არ გამოიღებს კეთილ ნაყოფს, მოიჭრება და ცეცხლს მიეცემა“ (ლუკა 3,9).

იოანეს ქადაგებამ ბევრს აფიქრებინა, რომ სწორედ ის იყო ქრისტე მაცხოვარი. აი, რა უპასუხა ნათლისმცემელმა დაეჭვებულთ:

16.. „მე გნათლავთ თქვენ წყლით, მაგრამ მოდის ჩემზე უძლიერესი, და მე იმის ღირსიც არა ვარ, რომ შევხსნა მისი ხანლის საკვრელი და ის მოგნათლავთ თქვენ სულით წმიდით და ცეცხლით“.

17. მას ხელთ უპყრია თავისი არნაღი და გაწმენდს თავის კალოს, და შეინახავს ხორბალს ბეღელში, ხოლო ბზეს მისცემს უშრეტ ცეცხლს“ (ლუკა 3,16—17).

და თქვა: მე ვარ ხმა უდაბნოში მღაღადებლისა. გაამზადეთ გზა უფლისა, როგორც თქვა ესაია წინასწარმეტყველმა“. (იოანე,1,23)

„ნეორე დღეს დაინახა იოანემ მისკენ მომავალი იესო და თქვა: აჰა, ტარიგი ღმერთისა, რომელიც იტვირთავს ქვეყნის ცოდვებს“ (იოანე, 1,29)

გაკვირვებული იოანე კრძალვით ეუბნება მასთან მოსანათლად მოსულ იესოს, რომ მას არ მართებდა უფლის ძის მონათვლა, რაზეც მაცხოვარმა მიუგო: „დე, ასე იყოს ახლა, რადგან ჩვენ გვმართებს აღვასრულოთ ყოველი სიმართლე. მხოლოდ ამის შემდეგ გაბედა იოანემ იესოს მონათვლა უბრალო მოკვდავივით.

„და როცა მოინათლა იესო, მაშინვე ამოვიდა წყლიდან, და აჰა, გაეხსნენ მას ცანი და იხილა სული ღმერთისა, დაბლა რომ ეშვებოდა მტრედივით და გადმოდიოდა მასზე.

და გაისმა ხმა ზეცით, რომელმაც თქვა, ეს არის ძე ჩემი საყვარელი, რომელშიც კეთილად გამოვჩნდი მე“. (მათე 9,16—17) იოანესთან მოსანათლად მოსულმა ხალხმა იხილა ,იგი, ვის მოსვლასაც წინასწარმეტყველებდა ნათლისმცემელი იესო ქრისტე მაცხოვარი, ვინაც „ნათელ-იღო“ ვითარცა მსახურმან ვინმე შჯულისაგან წყლისა და მიწისაგან, ხოლო მამით და სულით წმიდით ზეგარდამო იწამა და იდიდა—ჯუარს ეცუა დაეფლა და აღდგა, ახდა მასვე სიმაღლეთა მამისა თანა და მომავალ არს დიდებითა“ (მოქცევაი, ქართლისაი. წმინდა ნინოს ლოცვა უფლისადმი).

პუბლიკაცია მოამზადა

ია ხმელიძე.

ცხვრის წელიწადი

მგზნებარეგა ადგილს უთმოგს სიმშვიდეს

ალმოსავლეთში ჰოპულარული იაპონური კალენდრის მიხედვით 12-წლიანი ციკლის ფარგლებში, ყოველ წელიწადს თავისი ცხოველი აქვს ნიშნად. 1991 წელი ცხვრის წელია.

იაპონური ჰოროსკოპის მიხედვით, ცხვრის წელიწადი მშვიდი, თვინიერი, ნაკლებმღელვარეა. ამ წელში მოსალოდნელი არაა დიდი ძვრები, უმეტესწილად გვირგვინდება ცხენის წელში დაწყებული საქმეები.

ცხვრის წელიწადში დაბადებულები ერთი შეხედვით ოლბლიანი ხალხია. მათ ნატიფი ხელოვნების ნიჭი აქვთ, უყვართ მუსიკა, პოეზია, მაგრამ ცხოვრებაში ხშირად ხვდებათ წინააღმდეგობები, რომლის გამოც ისინი უმწეო ხდებიან არა იმიტომ, რომ არ შეუძლიათ წინააღმდეგობების გადალახვა, შიში— ცხოვრებისთვის დამახასიათებელი ეს თვისებაა ამის მიზეზი. ცხოვრებაში ისინი პესიმისტები არიან. ხშირად ავადმყოფობენ. აქვთ რელიგიური რწმენა. საზრიანები, მომთმენები არიან, უყვართ კომფორტი, ფულისადმი დიდ ინტერესს არ იჩენენ, მათგან ბელადი იშვიათად გამოდის, მაგრამ ყველა მათგანი თავისი საქმის კარგი მცოდნეა. არიან ნაკლებად-კონტაქტურები და ამიტომ სხვებიც ერიდებიან მათთან ზედმეტად ახლო ურთიერთობას.

ცხვრის წელიწადი იყო: 1943, 1955, 1967, 1979 და იქნება 2003 წელი.

კალეიდოსკოპი

დიდი ხნიდან ითვლება, რომ ქალი უფრო მეტს ლაპარაკობს, ვიდრე მამაკაცი. რატომ? გერმანელი დაინგლისელი მეცნიერები შემდეგ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ქალის თავის ტვინში. საუბრის ცენტრი უფრო მეტ ფართობს მოიცავს, ვიდრე მამაკაცის თავის ტვინში. გარდა ამისა ქალის ხმის სიმები უფრო ძლიერი და ელასტიურია, ვიდრე მამაკაცისა. მეცნიერები თვლიან, რომ ეს განპირობებული არის შემდეგი მიზეზით, ძველ დროში, როცა მამაკაცები დიდი ხნით მიდიოდნენ სახლიდან, ქალებს ბავშვებთან ხანგრძლივად უხდებოდათ ყოფნა. სწორედ ამაშვებთან უფრო ხანგრძლივმა ურთიერთობამ გამოიწვია ეს ბის ეს „უპირატესობა“.

* * *

ავსტრიელი სტომატოლოგის ფილა სატოხის აზრით, კბილის ტკივილს ყველაზე ადვილად იტანენ ცისფერთვალება ქალები. ტკივილის ამტანობით შემდეგი ადგილი უჭირავთ მწვანეთვალებიანებს, ხოლო თაფლისფერთვალება ქალებისათვის სტომატოლოგთან მისვლა ნამდვილ წამებაა.

* * *

ნეპალში ნიშნობის ასეთი ჩვეულება არსებობს— 8-12 წლის გოგონას ხეზე ნიშნავენ. ამის მიზეზი ეს მრავალსაუკუნოვანი ინდუისტური ტრადიციაა. გარდაცვლილ ქმართან ერთად უნდა დაიწვას მისი ქვრივიც. ამ საშინელი წესიდან თავის დასახსნელად ტარდება ხესთან „ნიშნობა“. თუ ქვრივი ბავშვობაში ხეზეა „დანიშნული“, მას აღარ წვავენ, ის ხომ ხის ცოლად ითვლება(?!)

საშაშათო საკითხავი

საკითხავი

კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე ადამიანები ეძებდნენ და ეძებენ პასუხს კითხვაზე—რა არის სიცოცხლის აზრი?

ზოგი ფიქრობს, რომ სიცოცხლეს საერთოდ არა აქვს აზრი, რადგან არ არსებობს უკვდავება — ადამიანი იბადება და კვდება; ასეთი სანუგეშო რეცეპტიც მოუფიქრებიათ: კაცმა თავის შემდეგ უნდა დატოვოს სახლი, ხე და წიგნი. ერთმა ქალბატონმა საკუთარი ყოფის რაობა ამგვარად ჩამოაყალიბა: ვცდილობ ჩემთვის ძვირფას ადამიანებს ცხოვრება შევუმსუბუქოო.

მანვე შემოგვთავაზა რეკომენდაციები ცალკე ქალებისა და ცალკე მამაკაცებისათვის. ჩვენ, რასაკვირველია, კარგად გვესმის, რომ რჩევა ადვილია, შესრულება — გაცილებით ძნელი. და მაინც, გვინდა იმ ქალბატონის რეკომენდაციები მოგაწოდოთ, ვინძლო, რაიმეში ცოტა მაინც წაგადგეთ.

მამაკაცებისათვის:

მამას უნდა აინტერესებდეს ყველაფერი, რაც შვილს ეხება— ეს არ გახლავთ მარტო საქმელი და ტანსაცმელი; თუ მშობლები გაყრილი არიან და ბავშვი დედასუფთად უნდა გამოიყურებოდეს; არ ადანაშაულებდეს ქმარს ყველა ცოდვაში — შენი ვაჟიშვილი შენსავით დოყლაპიაა ან შენი ქალიშვილი შენსავით ჯიუტიაო.

მანდილოსნებისათვის:

იყოს გულმოწყალე, სამართლიანი და ნაზი დედა, შრომისმოყვარე და მოწიწებული რძალი, ახსოვდეს, რომ დედამთილი— საყვარელი ქმრის დედაა.

დილდილაობით საუზმე მოუმზადოს ქმარს. ცხელი საქმელი ლამაზი თეფშებით და ლამაზ სუფრაზე მიართვას. მეუღლე სახლიდან მხოლოდ დანაყრებული კი არ უნდა გადიოდეს, არამედ ცოლის მზრუნველობითა და სიყვარულით გამთბარიც. თვალყური ადევნოს, რომ ქმარი გაუთოებული პერანგით, სუფთა კოსტუმით, გაწმენდილი ფეხსაცმლებით დადიოდეს.

უსმენდეს ქმარს, რამდენ ხანსაც უნდა ლაპარაკობდეს იგი, რომ ქმარი ვერ ახერხებს იყოს კარგი საყვარელი; არადა ახლა არის ამის სწავლის შესაძლებლობა—წიგნებითა თუ სპეციალური კონსულტაციებით. მამაკაცი —უფრო ძლიერი ადამიანი—უნდა ესწრაფოდეს ყველაზე მძიმე სამუშაო შინაც და გარეთაც თავის თავზე აიღოს.

არ დაივიწყოს საკუთარი დედა, საკუთარი მამა, არ მისცეს ცოლს მათი დამცირების, შეურაცხყოფის უფლება.

ახსოვდეს, რომ სიდედრი საყვარელი მეუღლის დედაა. მასაც ისევე ფაქიზად და სამართლიანად უნდა ეპყრობოდეს, როგორც საკუთარ დედას, სიბერეში—განსაკუთრებით!

ქალმაც და კაცმაც უნდა იცოდნენ:

არის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი რამ; შეუმცდარი ღმერთია მხოლოდ. ადამიანებს, ჩვეულებრივ, ბევრი ნაკლი გვაქვს. თუ მეორე ნახევარში რაიმე არ მოგვწონს, ეცადოთ შევეგუოთ ამას, ან რბილად ვურჩიოთ, გამოასწოროს. თორემ ყოველ წუთს ნაკლს ხაზგასმას მხოლოდ ერთი შედეგი მოაქვს: ამძაფრებს განხეთქილებას და აახლოებს ყველაფერზე წერტილის დასმის დროს. ლოიალობა მხოლოდ პოლიტიკაში როდია მოდაში. ადამიანურ ურთიერთობებს ძალზე სჭირდება ხასიათის ეს საოცრად მიმზიდველი ნიშანი.

თქვენ რას იტყოდით?

მანდილოსნებისათვის:

იყოს გულმოწყალე, სამართლიანი და ნაზი დედა, შრომისმოყვარე და მოწიწებული რძალი, ახსოვდეს, რომ დედამთილი— საყვარელი ქმრის დედაა.

დილდილაობით საუზმე მოუმზადოს ქმარს. ცხელი საქმელი ლამაზი თეფშებით და ლამაზ სუფრაზე მიართვას. მეუღლე სახლიდან მხოლოდ დანაყრებული კი არ უნდა გადიოდეს, არამედ ცოლის მზრუნველობითა და სიყვარულით გამთბარიც. თვალყური ადევნოს, რომ ქმარი გაუთოებული პერანგით, სუფთა კოსტუმით, გაწმენდილი ფეხსაცმლებით დადიოდეს.

უსმენდეს ქმარს, რამდენ ხანსაც უნდა ლაპარაკობდეს იგი, უსაფუძვლოდ არ აწყვეტინებდეს და არ ეწინააღმდეგებოდეს; საუბრისას უფრო მაღლა არ იყენებდეს თავს, რომ მეუღლის მამაკაცური ღირსება არ შელახოს; სტუმრად ყოფნისას არ შეეპაექროს ქმარს—ნეტა ერთი არ ამბობდე რაღაცასო, თუნდაც მან აიწყვიტოს და წატრაბახება მოისურვოს.

ყურადღებას აქცევდეს თავის გარეგნობას: ქალის საშინაო ტანსაცმელშიც მუდამ უნდა იგრძნობოდეს რაღაც პეწი. სახლშიც უნდა დაიყენოს თმა და გაიკეთოს მანიკური. იცოდეს საკუთარი ნაკლოვანებანი და ცდილობდეს მათ გამოსწორებას; გამუდმებით რეცხავდეს, წმენდდეს, ხეხავდეს—მშობლიური ბუასთან ცხოვრობს, მამა სასურველი ადამიანი უნდა იყოს მათ სახლში. ალიმენტები ნასუფრალია და სხვა არაფერი. ბავშვს ნებისმიერ ასაკში სჭირდება მამის ყურადღება და სიბრძნე არანაკლებ, ვიდრე მატერიალური დახმარება.

ცოლი რომ ლამაზი გეჩვენებოდეს, იგი უნდა გიყვარდეს! ეს ჭეშმარიტება დიდი ხნის დამტკიცებულია; სიყვარული კი არის ერთგულება, სინაზე, ყურადღება, ყვავილები და საჩუქრები. ქმარმა უნდა ისწავლოს საქმლის მომზადება, რომ არ დასჭირდეს ლოდინი, როდის დაბრუნდება ცოლი და როდის დადგება ქურასთან. ოჯახურ ცხოვრებაში ბევრი უსიამოვნება იქიდან მოდის,

ეს თურმე რა ყოფილა!

რა შურთ ქალების მამაკაცებს

გერმანელმა ფსიქოლოგებმა გამოკითხეს მამაკაცები, თუ რა შურთ მათ ქალებისა. აი რა გამოირკვა:

—ქალები არ არიან სამხედროვალდებულნი;

—შეუძლიათ გააჩინონ შვილები;

—არ სჭირდებათ ყოველ დილით პირის გაპარსვა;

—სტატისტიკის მიხედვით 6 წლით მამაკაცებზე მეტს ცოცხლობენ;

—უფლება აქვთ იტირონ ხალხში;

—შეუძლიათ გაეკეკლუცონ პოლიციელებს და ამით გაიადვილონ ძნელი საქმეები;

—არა აქვთ პრობლემები სექსის თვალსაზრისით;

—უფრო ადრე გადიან პენსიაზე;

—თუ ქალმა წარმატებას მიაღწია, მას გაცილებით მეტი ქება შეხვდება;

—ქალები უკეთესი მძღოლები არიან;

—შვილების უფრო მეტი საიდუმლო იციან, ვიდრე მამებმა;

—უფრო იოლად იტანენ ტკივილს;

—უფრო იოლად წყვეტენ არასასურველ კავშირებს.

წელს მოდაშია

რა ფერები იქნება წელს მოდაში, როგორც ჩაცმულობაში, ასევე კოსმეტიკაში? ამ შეკითხვაზე ინგლისელმა მემოდელეებმა და კოსმეტოლოგებმა ასეთი პასუხი **გასცეს:**

წელს ჩაცმულობაში ძირითად ფერს **მუქი ყავისფერი, შავი, თეთრი და შავთეთრი** წარმოადგენს. მოდაშია ძირითადად ერთფერი ქსოვილი, აგრეთვე როგორც ფართო, ასევე წვრილზოლიანი. საერთოდ ქსოვილის სახის ამორჩევაში სრული თავისუფლებაა.

რაც შეეხება ზამთრის **კოსმეტიკას**, მოდაშია: **ყავისფერი, მუქყავისფერი, შავი, ნაცრისფერი** ტონები. თვალის შავი მკვეთრი **კონტური** უნდა ამძაფრებდეს ქუთუთოების მუქ ტონს. ღაწვებისთვის უმჯობესია მუქი ჟანგისფერი „რუმიანი“. წამწამების მკვეთრი შეღებვა სავალდებულო არაა.

ასე რომ, ძვირფასო ქალებო ყური მიუგდეთ ამ რჩევებს.

ბილოცავთ

ნუნუ და ჟორა გვიშიანებს

გილოცავთ მირიანის ბედნიერებას. სიხარული ავსებდეს თქვენს ფუძე-ჭერს. ღმერთი იყოს თქვენი ოჯახის მფარველი.

უენია ბობოხიძე, შარდენ გვიშიანი ოჯახებით.

ვალია ონიანს
ალექსი ხაბულიანს

გილოცავთ ვაჟიშვილის ჩარიცხვას უმაღლეს სასწავლებელში

ცაგერის პროფტექნიკური სასწავლებლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

ლარისა ახვლედიანს
დათო სანთელაძეს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. აღზრდილიყოს ღირსეული ქართველი ქალი, შემატებოდეს მრავალი და-ძმა.

ცაგერის პროფტექნიკური სასწავლბლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

დალი არსენის ასულ კოპალიანს

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელ და ხანგრძლივ სიცოცხლეს შენს ქმარშვილთან ერთად. მომავალი ახალი წელი და დაბადების დღე გეზეიმოს თავისუფალ საქართველოში.

იორამ, ამირან, ომარი, ფოთოლა, ივერი ფუტკარაძეები, ოლეგი, ნანა, მარინა, ელისო ცხვედიანები.

შურა, ოთარ ყურაშვილებს

გილოცავთ შვილის ბედნიერებას. სულ სიხარული ჰქონოდეთ თქვენი ცხოვრების განძილზე, მოსწრებოდეთ მრავალ შვილთაშვილს.

საშა ჩაკვეტაძე, სამსონ კოპალიანი, გივი ქარსელაძე, აბესალომ გოგიძე, ლერი საღინაძე.

ნალი გელას ასულ ახვლედიანს
მირზა ავთანდილის ძე ხეცურიანს

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

ვაჟა, შურა, ჯემალ, მერი, ემზარ, დემურ, მაია, რიტა გუგავები.

ნანი მანაგაძეს
თამაზ ჩიქოვანს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ქართველი ქალი.

უჩა, ალექსანდრე, ბორის, აქვსენტი გოლეთიანები ოჯახებით.

ავთანდილ ქაჯაიას ძე მუშკუდიანს

გილოცავთ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მინიჭებას. გისურვებთ კვლავ წარმატებების მოპოვებას.

ლასურიაშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

გუდო გოლეთიანს
შოთა კოპალიანს

გილოცაოთ შვილიშვილის შეძენას. ძეობა, გამრავლება და სიხარული ნუ მოაკლოს თქვენს ოჯახს ღმერთმა.

უახლოესი მეზობლები დესნა სილაგაძე, ზაურ, გრიშა საღინაძეები, კარლო, დემურ ჩაკვეტაძეები, დათო, ბორის ხეცურიანები, თამაზ, სოზარ ბენდელიანები, მურთაზ ჩარკვიანი, ნუშარ ხვადაგიანი, გივი ბენდელიანი, შოთა კოპალიანი, ანზორ ტვილდიანი, მიშა ფოჩხიძე.

თამარ, სევერიან კოპალიანებს

გილოცავთ შვილთაშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო შვილი.

უახლოესი მეზობლები დესნა სილაგაძე, ზაურ, გრიშა საღინაძეები, კარლო, დემურ ჩაკვეტაძეები, დათო, ბორის ხეცურიანები, თამაზ, სოზარ ბენდელიანები, მურთაზ ჩარკვიანი, ნუშარ ხვადაგიანი, გივი ბენდელიანი, შოთა კოპალიან, ანზორ ტვილდიანი, მიშა ფოჩხიძე.

ნანი მანაგაძეს
თამაზ ჩიქოვანს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ქალი. შემატებოდეს მრავალი და-ძმა.

ცაგერის საფინანსო განყოფილების, საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლები.

ქართული მიწის მადლი

წარმატებული ცდები

სამრეწველო და სუფრის ჯიშის ვაზის გაშენების ახალი სისტემა შეიმუშავეს საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებმა და სპეციალისტებმა. ეს სისტემა ითვალისწინებს ნერგების ჩარგვას ჰიდრობურღების მეშვეობით, საყრდენი შპალერების მოწყობას ვაზის რქის ჰორიზონტალური გაფორმებისათვის. დადგენილია აგრეთვე ფესვების რწყვისა და კვების ნორმები, სხვა პარამეტრები.

როგორც გამოცდამ გვიჩვენა, ასეთი მეთოდით გაშენებული ვენახი მეორე ვეგეტაციის პერიოდში ჰექტარზე 35-40 ცენტნერ ყურძენს იძლევა, ხოლო მესამე წელს კი—80-100 ცენტნერს.

* * *

საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის საკოლმეურნეო ფილიალის საცდელ ნაწილში მიიღეს ხასხასა წითელი მსხვილმარცვლიანი შტოში—„ჩრდილოეთის ყურძენი". ეს მარცვალი, რომელიც ჩვეულებრივ ადრეული სიცივეების პერიოდში მწიფდება, და როგორც მიაჩნდათ, განუმეორებელ გემოს იძენს მხოლოდ აცივების შემდეგ, არანაკლებ მადის მომგვრელი აღმოჩნდა სამხრეთის მზის ქვეშაც.

შტოში—ეს ვიტამინების „საბადო", შესანიშნავი პირის ჩასატკბარუნებელი როგორც ბავშვებისათვის, ისე მოზარდლითთვისაც, არის აგრეთვე მურაბისა და ჯემის ნედლეული, იგი შეიძლება გამოვიყენოთ საექსპორტოდაც.

ამერიკული მსხვილნაყოფიანი შტოშის 12 სხვადასხვა ჯიშის რქა რესპუბლიკაში მეცნიერებმა შემოიტანეს იმ მიზნით, რათა გამოეცადათ გაიხარებდა თუ არა ის კოლხეთის პირობებში. უნდა ითქვას, რომ ისინი შესანიშნავად შეეგუენ კოლხეთის მიწას.

ბილოცავთ
ახლადდაქორწინებულებს!

ნალი გელას ასულ ახვლედიანს
მირზა ავთანდილის ძე ხეცურიანს

გილოცავთ ბედნიერებას, შეგექმნათ ფუძეძლიერი ოჯახი. სიყვარული, სიხარული და ბედნიერება ყოფილიყოს თქვენი მეგზური მრავალჟამიერ.

ვაჟა, ჯემალ, შურა, მერი, ემზარ, დემურ, მაია, რიტა გუგავები, ლია მუშკუდიანი.

ფატი გალაქტიონის ასულ გურგუჩიანს
მირიან ჟორას ძე გვიშიანს

გილოცავთ ბედნიერებას, გისურვებთ ამაღლებული სიყვარულით გეგლოთ ცხოვრების გრძელ გზაზე, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

ლანა, ლელა, ლაშა ბურჯალიანები, ნათია, ფიქრია, ზურიკო გვიშიანები.

გზებზე და ერთიანი გადაადგილების სამსახურში

კიდევ ერთი ტრაგედია

მიმდინარე წლის 4 იანვარს 19 საათსა და 30 წუთზე სოფელ ოყურეშში საავტომობილო გზაზე მოძრაობდა გაზ 69 მარკის, სახელმწიფო ნომერი ე 8446 გრ ავტომანქანა, რომელსაც მართავდა მფლობელი ლერი გრიშას ძე ლიპარიძე, მცხოვრები ქალაქ ხონის გამარჯვების ქუჩის №43-ში, რომელმაც ვერ უზრუნველყო ავტომანქანის მართვის სწორი ორიენტაცია, გადავარდა გზიდან 15 მეტრის სიმაღლის ხევში.

მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა თვით მძღოლი ლ.გ. ლიპარიძე და 3 მგზავრი.

ავტოსაგზაო შემთხვევის მიზეზების გამოძიებას აწარმოებს შინაგან საქმეთა რაიგანყოფილება.

რ. სალინაძე,

შინაგან საქმეთა ცაგერის რაიგანყოფილების უფროსი სახელმწიფო ავტოინსპექტორი, მილიციის ლეიტენანტი.

რედაქციისაგან: ახალ, 1991 წელს რაიონის გზებზე ეს პირველა შემთხვევაა, რომელიც ასე სამწუხაროდ დამთავრდა. უბედურმა შემთხვევამ შეიწირა 4 ქართველის სიცოცხლე. ჯერჯერობით მიზეზი უცნობია, მაგრამ მისი გარკვევა მომხდარ საშინელებას ვერც შეარბილებს და ვერც გაამძაფრებს.

დაე, ეს ყოფილიყოს პირველი და უკანასკნელი. ყველა ავტომძღოლს ვუსურვებთ ბედნიერ გზას. საქართველოს არ ჰყავს დასაკარგი შვილები.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

„შენი მასალების სამეურნეოშინაური საწარმოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნაგულ გურგუჩიანს ბიძის

ჭიჭიკო ტვილდიანის

გარდაცვალების გამო.

აგროსამრეწველო გაერთიანების მუშაკები თანაუგრძნობენ თემურ სილაგაძეს სიძის

რეზო გუგავას

გარდაცვალების გამო.

ოთარ, ჯემალ კობერიძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ ლენარა მუშკუდიანს მეუღლის

კუკური მუშკუდიანის

გარდაცვალების გამო.

გულვერ, როსტომ, ბექან, ვლადიმერ, ამირან, ბადრი ბრეგვაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

კუკური არტემის ძე მუშკუდიანი.

დეიდა ცაცა, ბიძა აკაკი, დეიდაშვილები ლეილა, მურთაზ, რეზო მახარობლიძეები, რძლები ზაირა გურგუჩიანი, ნათელა ზალკალიანი, სიძე მურად კენჭაძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ანზორ ალექსანდრეს ძე კანაჩაძე

სარაიონო კულტურის სახლის და ცენტრალიზებული ბუღალტერიის თანამშრომლები თანაუგრძნობენ რუბენ გოგიძეს ბიძის

დიომიდე ჭაბუკიანის

გარდაცვალების გამო.

დედა გოგუცა, რძალი ლილი სვანიძე, ძმისშვილები მარინე, თემური იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ანზორ ალექსანდრეს ძე კანაჩაძე

ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და სბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ზაირა ბრეგვაძეს მამიდაშვილის

კუკური მუშკუდიანის

გარდაცვალების გამო.

ბიქტორ, კოწია ბახსოლიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ იულო ახვლედიანს დისშვილის

რეზო გუგავას

გარდაცვალების გამო.

ცაგერის აგრომრეწვბანკის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნანული ლეთოდიანს დეიდის

ნათელა ტარიელის ასული კოპალიანის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის——22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-2. სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების—22-41, საკორექტოროს—22-43. სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო სეამკრის—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №1 ტირაჟი 4513

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.